

სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **სასაწყობე სტელაჟების შესყიდვა - მონტაჟზე**.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
5 გადამბული (სასაწყობე სტელაჟი) (200x200x60) (5 იარუსი)	7 ცალი
6 გადამბული (სასაწყობე სტელაჟი) (200x200x60) (5 იარუსი)	1 ცალი
4 გადამბული (სასაწყობე სტელაჟი) (200x200x60) (5 იარუსი)	1 ცალი
1 ცალკემდგომი (სასაწყობე სტელაჟი) (200x200x60) (5 იარუსი)	1 ცალი
2+1 გადამბული (სასაწყობე სტელაჟი) 2 ცალი (200x200x60) + 1 ცალი (200x150x60) (5 იარუსი)	1 ცალი
3+1 გადამბული (სასაწყობე სტელაჟი) 3 ცალი (200x200x60) + 1 ცალი (200x150x60) (5 იარუსი)	1 ცალი
1 ცალკემდგომი (სასაწყობე სტელაჟი) (200x150x60) (5 იარუსი)	1 ცალი
1 ცალკემდგომი (სასაწყობე სტელაჟი) (160x100x60) (3 იარუსი)	1 ცალი
3 გადამბული (საბურავების სტელაჟი) (200x200x60) (4 იარუსი)	1 ცალი
2 გადამბული (საბურავების სტელაჟი) (200x200x60) (4 იარუსი)	1 ცალი
1 ცალკემდგომი (საბურავების სტელაჟი) (200x200x60) (4 იარუსი)	1 ცალი

სასაწყობე თაროს მახასიათებლები

დასახელება	სასაწყობე თარო
ფერი	გვერდიტა ბოძები:ნაცრისფერი, იარუსი ნარინჯისფერი
იარუსის რაოდენობა	5
ზომა	სიმაღლე: 200სმ, სიგანე: 200სმ, სიღრმე: 60სმ. (განსხვავებული ზომები მითითებულია მოთხოვნაში)
დატვირთვა ერთ იარუსზე	მინიმუმ:300KG

საბურავების დასალაგებელი თაროს მახასიათებლები

დასახელება	საბურავების თარო
ფერი	გვერდითა ბოძები: ნაცრისფერი, იარუსი ნარინჯისფერი
იარუსის რაოდენობა	4
ზომა	სიმაღლე: 200სმ, სიგანე: 200სმ, სიღრმე: 60სმ.
დატვირთვა ერთ იარუსზე	მინიმუმ: 800KG

განლაგებისთვის და ტექნიკური მახასიათებლისთვის იხილეთ დანართი # 4 და დანართი # 5

გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა პროდუქციის სატესტოდ მოწოდება.

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ტვირთამწეობის დასკვნა.

მოწოდების მისამართი და პირობები

მოწოდების მისამართი - ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. # 2-4-6-8-10

შეთავაზება უნდა მოიცავდეს ნასყიდობის საგნის მოწოდება/მონტაჟს მოთხოვნის შესაბამისად.

მოწოდების ვადა 2025 წლის 10 აპრილამდე

ანაზღაურება

ყოველი ეტაპის მოწოდებიდან 5 დღის ვადაში

სატენდერო პირობები ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1-** კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2-** ფასების ცხრილი
 - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
 - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3-** განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltakeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 20/03/2025 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;
- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;
- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.
- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.